საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-50

27/01/2022

ქ. თბილისი

,,კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნის“ მდ. მტკვარზე 35,64 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მეტეხი ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის N 2-1275 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის N 2-1275 ბრძანებით გაიცა ,,კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნის“ მდ. მტკვარზე 35,64 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მეტეხი ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე'' სკოპინგის დასკვნა N 133 (18.12.2019წ).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნის“ მდ. მტკვარზე 35,64 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მეტეხი ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის N 2-1275 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნს'';
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი